ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №375

ქ.თბილისი 4 ნოემბერი 2022წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, სს „ქებული კლიმატს“ (მდებარე: ქ.თბილისი ეთერ ბოცვაძის ქ.№4 შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს ცენტრალური გათბობის რადიატორების მიწოდებას ხელშეკრულებაზე თანდართული ჩამონათვალის, რაოდენობისა და ფასების მიხედვით, (დანართი №1) (კლასიფიკატორის კოდი 44621110).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 693.18 (ექვსას ოთხმოცდაცამეტი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ 2022 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით, „მიმწოდებლის“ მისამართზე, ქ.თბილისი, ე. ბოცვაძის ქ.№4.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას, ან/და 4.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით.

4.2 „მიმწოდებელმა“ საქონელთან ერთად „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები - სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

4.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს საქონლის მიწოდების დღეს ან წარმოადგინოს მოტივირებული პრეტენზია წერილობით. იმ შემთხვევაში თუ „შემსყიდველი“ საქონლის მიწოდების დღეს ხელს არ მოაწერს მიღება-ჩაბარების აქტს ან არ წარმოადგენს მოტივირებულ პრეტენზიას წერილობით, საქონლის მიწოდების თარიღად მიიჩნევა სასაქონლო ზედნადების გამოწერის დღე;

4.4 საქონლის მიწოდებიდან „შემსყიდველზე“ გადადის მისი დაკარგვისა და განადგურების რისკი. მიწოდებისას „შემსყიდველი“ ამოწმებს პროდუქციის ხარისხს და მის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და დაუყოვნებლივ ატყობინებს „მიმწოდებელს“ საქონლის მიღებისას შემჩნეული უზუსტობების, მათ შორის ნივთობრივი ნაკლის შესახებ. საქონლის გატანის მომენტიდან პრეტენზიები მისი სახეობის, ნაკლისა და რაოდენობის შესახებ არ მიიღება;

4.5 სწორი ექსპლუატაციის პირობებში, „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯით შეცვალოს პროდუქცია იმ შემთხვევაში თუ საქონლის მიწოდებიდან 3 (სამი) სამუშაო

დღის განმავლობაში პროდუქციაზე გამოვლინდა ქარხნული წუნი. აღნიშნული პირობა არ მოქმედებს თუ წუნი გამოწვეულია „შემსყიდველის“ ბრალით, მათ შორის პროდუქციის არასწორი ექსპლუატაციით.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ საქონლის მიწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება მიწოდების დღეს, მიწოდებული საქონლის ხარისხისა და ვადების შემოწმების გზით;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენელი:

1) ეკონომიკური დეპარტამენტის, სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილე – იოანე ჭანტურია.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

7.1.1 მოთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

7.3.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" და „შემსყიდველს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის" გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

11.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

11.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

11.5 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2022 წლის 4 ნოემბერს და მოქმედებს 2022 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის – 4001
ა/ა №GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი - 203840344

„შემსყიდველის“ სახელით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ილია ტარასაშვილი

Digitally signed by special state protection service of georgia

„მიმწოდებელი“:

სს „ქებული კლიმატი“

მდებარე: ქ.თბილისი ეთერ ბოცვაძის ქ.№4

ტელ: 2022222

სს „თი ბი სი ბანკი“

ა/ა №GE41PC0223600100005176
კოდი MIBGGE22

საიდენტიფიკაციო კოდი - 202283242

„მიმწოდებლის“ სახელით:

სს „ქებული კლიმატის“
დირექტორი

თემურ არზიანი

JSC Qebuli Climate

Digitally signed by JSC Qebuli Climate
Date: 2022.11.07 10:49:00 +04'00'

მიმწოდებლის დასახელება: სს „ქებული კლიმატი“

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	გათბობის რადიატორი 600*1200 PKKP-22-Solaris	3	ცალი	231.06	693.18
სულ:					693.18

„მიმწოდებლის“ სახელით:
სს „ქებული კლიმატის“
დირექტორი

თემურ არზიანი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ სს „ქებული კლიმატთან“ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე — ილია ტარასაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, სამეურნეო
სამმართველოს უფროსის მოადგილე — იოანე ჭანტურია

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს უფროსის მოადგილე — ვასილ მეგრელიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი — თამარ რამაზაშვილი